# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 213. | კვირა, 25 აპრილი 1904 წ. | გაზეთის № 2477.


# ტირილი

სურათი გურიის ცხოვრებიდან.

(დასასრული*)

კვირა დილა გათენდა თუ არა, ქიშვარდი ბუატაძისას ყველანი ფეხზე იდგნენ. ბებერ დედას მთელი ღამე არ დაუძი-



კონტრ-ადმირალი კ. პ. იესსენი, ვლადივოსტოკის ფლოტის უფროსი.



ლეიტენანტი ე. კრინიცკი, ნაღმიან გემის „სილნის" უფროსი, რომელმაც ააფეთქა პირველი სავაჭრო გემი იაპონიისა. დასწრეს 14 მარტს.

ნია,—ტრიალებდა და კრუსუნებდა ლოგინში. ინათლა თუ არა, წამოდგა და მოთქმით გაალვიძა ყველანი; დარწმუნებული იყო, რომ დღეს თავდება მისთვის ყველაფერი და ოდნავ მბჟუტავი იმედიც კი, რომლითაც ის სცოცხლობდა ამდენ ხანს საყვარელ შვილის დაბრუნების შესახებ, ახლა სრულიად გაუქრა გულში. ის თითქოს ნათლად ხედავდა თავის შვილის მკვდარ, თვალებ დახუჭულ სახეს და გული უკანკალებდა. ლოგინი აალაგეს, ყველაფერი, რაც იყო სახლში, ერთის ტახტის გარდა, გაიტანეს გარედ; ტახტზე კი დააგეს ფარდაგი, მერმე საბანი და ამბაკომ შემოიტანა „ნიშანი". ნიშანი იყო—კაცის ფიგურასავით გამოკერილი და თივით გატენილი ფშუტურო, მიტკლისაგან შეკერილ დიდის თავით, რომელზედაც დახატული იყო ნახშირით თვალები, ცხვირი და პირი. დაინახა თუ არა ნიშანი, მოხუცი დედა მივარდა ბღავილით, როგორც ნამდვილ შვილს, ამ ფშუტუროს, დაუწყო დაუსრულებლად ხვევნა-კოცნა ფეხებსა და ხელებზე, მოთქმით და თმის წეწვა-გლეჯით. ამბაკო, ქიშვარდი, ელპიტი, ეფემია ძ ბავშვები — ყველანი ტიროდნენ მის მაცქერალნი. ბოლოს, როგორც იყო, მოაშორეს დედა გულ და ლოყებ დაკაწრულ - გასისხლიანებული, მაგრამ, გულამომჯდარი, განაგრძობდა ტირილს გულსაკლავის სიტყვებით და იწეწდა ჭაღარა თმას. ნიშანს ჩააცვეს ჩოხა, დააწვინეს ტახტზე და გადააფარეს თავზე ყაბალახი. სახლის კუთხეებში და კედლების დაყოლებით დააგეს მიწაზე ფარდაგები და ჭილოფები, სადაც მოიკეცეს თმა გაშლილმა, შავად ჩაცმულმა ჭირისუფალმა ქალებმა. გარედაც დიდი ფაცა-ფუცი იყო: ერთ პატარა, ხელად გაკეთებულ ფიცრულ კარავში ხარშავდნენ ლობიოს და ღომს, აქვე ითვლიდნენ და რეცხდნენ ნაქირავებ თეფშებს, ბეღელში სჭრიდნენ პურს, ისმოდა ძახილი და უხალისო დალონებული ლაპარაკი.

მარტის თბილი, თითქმის ცხელი, მშვენიერი დღე დადგა. ხეებს ყლორტები გამოეღოთ და მწვანედ იფურჩქნებოდნენ, მზის თბილ მხიარულ სხივების ალერსით გაღვიძებულნი. აქა-იქ ეზოში მოსჩანდა თეთრად და ვარდისფრად აყვავებული ტყემალი და ატამი.



† ისაია ფითოევი

დილის ათი საათი იქნებოდა, როცა მოვიდნენ მოზარეები და იწყო ხალხმა მოდენა. ჯერ ახლო-მახლო მეზობლები იკრიბებოდნენ. ქალები ტიროდნენ მიცვალებულს, ანუგეშებდნენ დედას და სხდებოდნენ ჭირისუფალთან; მამაკაცები კი გადიოდნენ გარედ და ეხმარებოდნენ საქმეში. ქიშვარდი შავი მიტკლის ჩოხით ედგა „ნიშანს" თავთან და ყოველ ახალ მოტირალის შემოსვლაზე ტირილით გაიძახოდა: „ძმაო, ძმაო, უდროვოთ დაკარქულო ძმაო, რეიზა დამღუპე, რეიზა მიღალატე?" ის ხშირად იყურებოდა გარედ და ათვალიერებდა, შეგროვდა თუ არა საკმაოდ ხალხი. ერთი-ორჯელ გამოუძახეს კიდევაც გარედ და ამ დროს მის მაგივრად მის ადგილას ამბაკო დადგა და ღებულობდა ნუგეშს. ხალხი ბლომად შეგროვდა. შორეულებიც მოვიდნენ,—ტიროდნენ და ისევ ჩქარა გადიოდნენ გარედ. ეზოში მრავლად მოსჩანდა ქალები, მამაკაცები, ახალგაზდები, მოხუცებულები, ბავშვები და მათხოვრები. იქვე ახლოს, სახლის წინ, იდგა მაგიდა, რომელზედაც ორი კაცი წასაბურავს ღებულობდა და სწერდა ქაღალდში სიას, ვინ რამდენი მოიტანა. გადაწყვეტილი იყო ორ-პირად სადილის მირთმევა მიწვეულებისათვის. თორმეტ საათზე გაიმარ-

*) იხ. „დამატება", № 211.

თა პირველი სადილი. გრძლად გამწკრივებულ, თეთრის მიტკლით გადაფარებულ, დაბალ, გრძელ სუფრებს მოუსხდა ხალხი და გაჩქარებით მხიარულად დაიწყო ჭამა. რამდენიმე მერიქიფე



ყაზახები გზაში

დადიოდა და უსხამდა მათ ღვინოს აქა-იქ ჩადგმულ ჰიქებში. ვისაც დააკლდებოდა ღომი, იქავე არიგებდნენ ქვაბიდან პირდაპირ სუფრაზე. მოჰქონდათ ხონჩებით დაჭრილი პურები, ლობიო, აქა-იქ ზეთის ხილიც.

ქირისუფალნიც გავიდნენ ახორში*), სადაც დამზადებული იყო მათთვისაც სადილი.

ბებერი დედა დაჯდა კუთხეში გარინდებული, გულ-გასისხლიანებული; მასთან დაჯდა მისი მაზლის ცოლი ცაცო, სხვები კი, ვისაც სად შეხვდა, და შეუდგნენ ჭამას. შემოვიდა ამბაკოც და ჩამოჯდა მათთან.

— ძალიანმა ჯარმა შეიყარა თავი და ჯერ კიდო მესამედი არაა მოსრული. წასაბურავი ორ აბაზზე ნაკლები არაკაცს მოუტანია. აზნაურიშვილები ჯერ არ მოსულარიან არაკაცი,—სთქვა მან.

— რამე ნაირად საჭმელი არაკაცს მოაკლდეს, სირცხვილი არ ვჭამოთ,—მიუგო მას ქიშვარდიმ.

— ვაიმე, შვილო, შენ დამაყრიდი მეგონა მიწას გულზე და რა მომესრა აი, რა ეყურება აი ლაპარიკი ჩემს ყურებს?!.— დაიწყო მოთქმით ბებერმა.

— კაი, ალათი, შენ საცოდავო, თავს ნუ მეიკლავ,— უთხრა მას მაზლის ცოლმა,—კაი და მადლიანი რომ იყო, იმიზა წეიყვანა ხენწიფემ და ღმერთმაც, შენ უბედურო, თვარა ჩვენ გადაპროხებული მალაზნები აღარც ღმერთს უნდებვართ და აღარც კაცს.

— მადლიანი ხარ, ბიცოლავ, ღმერთს არ უნდა შესცოდო. ხენწიფის სამსახურში მოგიკტა შვილი. ამ ნაირათ თავს რომ იკლავ, არ ვარგა, ცოდვაა,—უთხრა ერთმა ქალმა ბებერს.

— ვაიმე, შვილო, ჩემი ანტონაიც ასე მომიკტა შორ ქვეყანაში, ნახავენ ერთმანეთს, შვილო. რამდენ რამეს უმოწმებ, შვილო, შენთან შენი ბალნობის ამხანაგს, შენ ბესოიას,— მოსთქვამდა ერთი მოხუცებული დედაკაცი.

— კაი, კაი, ეკა, შენი ჭირიმე, გეყოფა, იქინეი რომ იკლავ თავს, რაცხა ჩეიდევი ხეფსი პირში...

— ღმერთმა სასუფეველი დუუმკვიდროს, მამაზეციერმა, ახლად მიცვალებულ ბესოს!—აილო ამბაკომ ჭიქით ღვინო ხელში, ცოტა გადმოაჩქეფა პურზე, დანარჩენი დალია და აღაპყრო ზევით თვალები. დანარჩენებმაც ყველამ სწრაფად აილო ჭიქები, ყველამ შესთხოვა ღმერთს ახალ მიცვალებულისთვის ცხონება, იმათაც გადაასხეს ცოტა ღვინო პურზე და სასოებით დალიეს.

— ბიცოლავ, ამბაკო, ქიშვარდი, მოტირალები მევიდენ სამსე. ჩქარა, ჩქარა გამოით!—შემოვარდა სახლში ახალგაზრდა ბიჭი ყვირილით,—ოთხმოცდა ათი მანათი არის ჯერ-ჯერობით წასაბურავი, - სთქვა მან და ისევ საჩქაროდ გავარდა გარედ.

ახალგაზდა ქალები წამოცვივდნენ, ისევ დაიმალეს ჭამის დროს წაკონილი თმები და ფაცა-ფუცით შეუდგნენ ვარცხნას.

სარკე სწრაფად გადადიოდა ხელიდან ხელში.

— უმარული არ გაქ, ცავ, ეფემიავ?

— მეც მომეცი პაწაი, თუ ღმერთი გწამს, — ისმოდა იქით-აქედან.

— რავა, შენ თვითან არ ისვამ, ისე მოხვალ?—მიუბრუნდა ერთი ქალი ეფემიას.

— ვაიმე, ა, ასეა, ამის მეტი კი არ იცის,—სთქვა ელპიტიმ და მივიდა მულთან.

ეფემია თმა-გაშლილი, ნამტირალევი, სამგლოვიარო შავ კაბაში, ახლა ბევრათ უფრო კეთილი და მიმზიდველი სჩანდა.

— მომეცი აბა, - მიუგო მას ეფემიამ და გამოართვა მუშით უმარილი,—ხამანწკა იყო საცხა?

— ოჰ, ხამანწკა მომიკითხე ახლა, რა დროის ხანმანწკაა? ჭაქვზე გადმეისხი, ოჯო, ჭაქვზე.

ეფემიამ გადაისხა მარცხენა მუჭში უმარილი, სწრაფად შეიცხო სახეზე მარჯვენა ხელის ორი თითით და გადაისწორა ორივე ხელით.

— აჰა ჭინჭიფერიც,—მიაწოდა მას ელპიტიმ წითლად შეღებილი პაწია დოლბანდის მჩვარი. მას ეჭირა სარკე ეფემიას წინ და მზრუნველობით ადევნებდა თვალს მულის ყოველ მოძრაობას.

— ჭინჭიფერი ჩვენც გვათხუეთ...



რუსეთის ჯარის-კაცი, დარაჯად მდგომი მანჯურიაში.

— სარკე, სარკე სადაა?—იძახოდნენ ფაცაფუცით.

— წარბი კი არ შუუღებავს ამ საცოდავს!

— არ ვარგოდა მეგონა, ოჯო.

— არ ვარგოდა, არ ვარგოდა კი არა, უნდოდა შეღებვა, თვითან ღვთიმშობელმა შეიღება თურმე სამგლოვიაროთ.

---

*) სახლზე მოშენებული ან მოლობილი სადგომი, ოჯახში საჭირო ხარა-ხურის საწყობი; თუ კარგი ფიცრულია, ზამთარში საქონელსაც აბამენ შიგ.

— გორა-შესკნილი წარბი აღარაა მოდაშიო, ჩივიან.

— ჰოო, შენ დიდი ბატონიშვილი ხარ, მოდას უნდა უყურო. რა,—ისე რავა გეკადრება?!.

მოისმა შეკავებული სიცილი. იქით-აქედან ისმოდა ქალების გამოცოცხლებული ლაპარაკი და ნელი გულიანი სიცილი.

— აზნაურები მევიდნენ, აზნაურები და რა შობით, რომ ველარ გამიეტიეთ?—შემოირბინა ისევ ახალგაზდა ბიჭმა ყვირილით.

— გადი, გადი, ბატონო! ჩვენც გამუალთ ახლავე,—მიუბრუნდა დედამთილს ელპიტი.

— მარტუაი რაფერ გამოვყერყეჩდე, ოჯო, იქინეი.

— ე, გავათავეთ, გავათავეთ, გევიდეთ!

ყველანი გავიდნენ, ჩამომწკრივდნენ თავთავიანთ ადგილას და ამოჰკიდეს მოთქმა-ვაება.

მოტირალნი მართლა მრავლად იყვნენ. მოზარეები ორ ჯგუფად ამბობდნენ ზარს: ერთი რომ ატირებდა მოტირალს და გავიდოდა, მაშინვე მეორე ჯგუფს შემოჰყავდა მეორე მოტირალი.

ხალხი გარედ ემატებოდა და ემატებოდა. ისმოდა სიცილი, მხიარული ლაპარაკი. ჭრელი და ფერადი კაბებით მორთულ-მოკაზმული ქალიშვილები ეშმაკურად გაიცქირებოდნენ მათ სანახავად მოსულ ვაჟებისაკენ. „შუამავალი“ ქალები მზრუნველობით უსწორებდნენ თმებსა და „კასინკებს“ თავიანთ „გასაშუამავლებელს“ და დიდგულად შესცქეროდნენ მათგან არჩეულ საქმროებს.

ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილ მხიარულ ხალხს სრულიადაც არ ეტყობოდა, თუ რისთვის იყო აქ თავმოყრილი. მხოლოდ მოზარეთა სამგლოვიარო გალობა და სახლში გაბმული მოთქმა მოგაგონებდათ ამ ყრილობის მიზანს.

მოაწია მეორე სადილობამაც. ხალხი მიიწვიეს სუფრაზე დასაჯდომათ და ტირილიც ცოტა ხნით მიწყნარდა. ამბაკო შემოვარდა ქაქანით და გამოუძახა ქიშვარდის ახორში. ცოტა ხანს შემდეგ გაიყვანეს ბებერი დედაც, რომელსაც თან გაჰყვა ეფემია.

— ნენავ, პური დაგვაკლდა,—უთხრა დედას ქიშვარდიმ, როცა შევიდნენ დედაშვილი ახორში,—უნდა ვაფრინოთ კაცი დუქანში, ერთი პირი სადილი კიდო დაგვჭირდება...

— ძალიანმა ჯარმა შეიყარა, ბატონო, თავი, შორეული მოტირალები ჯერ არ მოსულარიან!—სთქვა ამბაკომ,—ორასი მანათი არის ჯერ-ჯერობით შემოსრული წასაბურავი.

— ნენავ, გავაგზავნოთ ხომ პურიზა, ზეთის ხილიც მუატანიოთ, თვარა აღარაა სული.

— კი, ნენავ, კი,—რაღას მკითხავ, გააგზავნე...

— ბიცოლავ, ქიშვარდი, ესმაი მუა ეგერ, ესმაი!.. რავა მოკივა, გეყურებიან?—მოირბინა ვიღაცამ.

სახლში ყველანი შეშფოთდნენ. ბებერი და ქიშვარდი ეცნენ კარებს; ელპიტი კი შემოიჭრა ამ დროს აღელვებული და მივარდა ეფემიას.

— აბა გადისვი, გადისვი მალე უმარული, თმაიც გადიბარცხნე. ხომ იცი, იგი კაციც მოყობა?

ეფემია და ელპიტი ორივენი ეცნენ ზანდუკს.

— ვაიმე, აქანაი იყო და რომ აღარაა?

— აგერაა, აგერ, რომ ვეფერს ნახავ, აჰა ჭინჭიფერიც! მალე, მალე, თლა კარებთან მუაწია აგერ, გეყურება?

— გავათავე, გავათავე; ა, თმას გადვიწყობ ელანძე...

კივილი მართლა ერთობ მოახლოვდა, ელპიტი და ეფემია გავარდნენ სწრაფად ტირილითა და მოთქმით. მოთქვამდნენ და ტიროდნენ ყველანი. სახლში იდგა საშინელი ალიაქოთი.. ქიშვარდიც „ნიშანის“ თავთან ღია განის კარის ახლო იდგა და ბუყბუყებდა. კივილი თანდათან ახლოვდებოდა, ბოლოს მოაღწია ზენა კარებამდისაც და შემოვიდა შიგ ჯერ კარგად მოზრდილი ბიჭი, რომელსაც ხელში ანთებული დიდი კელაპტარი ეჭირა, შემდეგ-მოზარეთა გუნდი გალობით; მერმე ორმა კაცმა შემოიყვანა მკლავებში გაკავებული, თმაგაშლილი, გაწიწმატებული, რომელსაც მოსდევდენ რამოდენიმე მხლებელი ახალგაზრდა ქალები. ერთი ხელის დამჭერთაგანი იყო ეფემიასთვის საქმროთ აჩენილი კაცი. ესმას ძლივს იმაგრებდა ხელში ეს ორი კაცი: ის უსხლტებოდა მათ ხელიდან, საშინელის კივილით იგლეჯდა თმას, იკაწრავდა ლოყებს და გატიტვლებულ გულს, საიდანაც სისხლი წვეთ-წვეთად მოასხამდა. შემოდგა თუ არა სახლში ფეხი, ის შესდგა კარებთან და საშინელის ხმით მიმართა დედას:

— ნენავ, შენ უბედურო, ქე ხარ ცოცხალი?.. რუუყავი ჩემი ძმაი, ჩემი კაი ძმაი, შენ უბედურო, შენ უბედურო! შენ რეიზა ხარ ცოცხალი, რეიზა ხარ ცოცხალი... შენ საცოდვავო ნენავ, მითხარი, რუუყავი ჩემი მარგალიტი ძმაი?.. ძმაო, ძმაო, ძმაოოო!.. ჩემ კატოიას წაჰყობოდი მეგონა მაყრათ, დამამშვენებდი მეგონა... ციცავ, ეფემიავ, გამოი აქეთ, დამენახვე, თუ კაი ქალი ხარ? მითხარი, სადაა ჩემი მარგალიტი ძამიეი?.. პასუხი მომეცი ახლავე... ახლავე!.. ვაი ჩემ მოსწრებას, ვაი ჩემს მოსწრებას... ბებერი დედა და ეფემია წამოდგნენ წინ. ხელის დამჭერმა აავლ-ჩაავლო ეფემიას თვალი.

— ვაიმე, შვილო, რავა მომიძულა ღმერთმა, ხომ ხედავ, ნენავ... რომ აღარ დევირჩვი, რა ვქნა შვილო!—მოსთქვამდა ხმაჩახლეჩილის, დალალულის ხმით ბებერი და იგლეჯდა ქალარა გათხელებულ თმას.

— ვაი ჩემ დღეს, ვაი ჩემ დღეს!..—გაიძახოდა ქიშვარდი.

— ხომ ხედავ, რაფერ მიღალატა ჩემმა ძამიამ,—მიუტირა ეფემიამ დას.

დანარჩენი ჭირისუფლებიც საშინელის წივილ-კივილით ბანს აძლევდნენ მათ.

— ვაიმე, ვაიმე, უი, უი, უი!!—გაჰკიოდა ესმა ცივის ხმით. ის ერთბაშად გაექანა თავპირში ცემით ლოგინისკენ, სადაც ესვენა „ნიშანი“.—ძმაო, რას ვხედავ ამას... სად წევხარ ძმაო, რა დეინახა აი ჩემმა თვალებმა?..



იაპონელი ბავშვები

რავა დაგიკრეფია გულზე ხელები?.. გამიშვით, უნდა მევიკლა თავი... რაღათ მინდა თავი ცოცხალი... გამიშვით, უნდა მევიკლა... მევიკლა, ახლავე უნდა მევიკლა... მევიკლა ძმაააავო. ძმაავო... ძმააააოო...

— ვაიმე, ძმაო, აღარ მყავხარ?.. ამ ამბავს მევლოდი ამ სიშორიდან მოსრული?.. ვაი უპედურ ჩემ თაააავს...

ყველამ მიაპყრა თვალები გარეთ კარებს, საიდანაც მოისმა ეს ხმა და აღშფოთებული შემოვარდა სახლში ძველი სალდათის ფარაჯით ახალგაზრდა ქერა წვერულვაშიანი კაცი. დედა-შვილები ერთ წამს შესდგნენ განცვიფრებულნი.

— დედავ, შვილო, ჩემი ბესოიეი მევიდა!—იკივლა ბებერმა დედამ. თვალის დახამხამების უმალ ის მივარდა შემოსულს და გახარებული მოეხვია კისერზე.

— ვაააი!.. სუსტად დაიკვნესა ესმამ და ორივე ხელები დაუშვა ძირს.

— ა, ა, ა?!—მოისმა იქით-აქედან. ერთბაშად შესწყდა ტირილიც, ზარიც და ყველანი გარშემოერტყნენ გადახვეულ დედა-შვილს.

**

საღამოზე ესმას გარდა ყველა შინაურები და ახალ-მოსული ბესო მოსხდომოდნენ პატარა ცეცხლს კერასთან.

— ნენავ, ღმერთმა რომ შენი თავი კიდო მაჩვენა, შვილო, ამის ღირსი რომ კიდო გამხადა, რავაღა მეთქმის რამე. რა ვქნა, ღმერთიც და კაციც მომიტევებს ამისანა შეცთომას და სირცხვილს,—ამბობდა მოხუცებული.

— კი, მარა რეიზა არაფერი მოგვწერე, ძამიავ, რაფერ დაგემართა მაი, რომ ორ წელიწად ნახევარში შენი ვეფერი შევვატყობიე და მაინც ამდონი რეიზა დაგაგვიანდა გზაში?—ჰკითხა ძმას ქიშვარდიმ.

ბესომ მიიბრუნა ქერა სახე ძმისკენ, ლურჯი, დიდრონი, ლამაზი, მაგრამ რაღაც უშინაარსო თვალები მიაპყრო მას და დამშვიდებულად უთხრა:

— რა მექნა, ძმაო, რავა, მე წერა არ ვიცი ქართული და ერთი იყო ჩვენ ჯარში, რომ იცოდა, იგი ქე მოკტა უბედური, ამიზა ქე დავრჩი ასე. ვადა რომ გაგვითავდა, გზაში კიდო პაწაი ავათ გავხდი, საავათმყოფოში დამტიეს და იქიდან აღარ გამომიშვეს ერთხანს; თვარა მთავარი სული თქვენთან მქონდა.

— რა სირცხვილია ახლა ვითამ?—რავა, ბატონი ისე დავმარხეთ, არ გვიტირია და ვითამ იმის ყოფილა,—სთქვა ელპიტიმ.

— ყველაი-ყველაია, ნენავ, და რაფერ მოი ისე, რომ ვერაკაცმა ვერ დაგინახა?—დაეკითხა შვილს ბებერი. ის როგორღაც უფრო ახალგაზრდა და მსუქანი მოჩანდა და სწორადაც იჯდა ჯორკოზე შვილის გვერდით.

— რაფერ და სტანციიდან შარით კი არ წამოვსულვარ: ჩქარა მივალ შინ მეთქი და პირდაპირ ტყეში გადმევიარე. ერთხანს დევიბენი კიდეც, მერე გადმოვხტი ვინცხაის ნაჩალევში: იქიდან ზურაბაის ნასახლევზე გადმევიარე და ჩამოვხტი ჩვენი ჩიხის ბოლოში; იქინეი ვინცხაის პაწაი ბიჭი შემხდა, დიდი მოკონილი პური მიჰქონდა. აი ბიჭი რომ დევინახე, გამიხარდა და ვკითხე: ვისი ხარ, ბიძიავ, შენ სად იყავი მეთქი? ტირილში ვიყავიო, მითხრა. რაცხამ მრენჩხა გულზე. სადაა, ბიძიავ, ტირილი მეთქი?—დათუნაი ბუატაძისასაო. აი ბაბაის სახელი რომ ახსენა, მე ბაბაი მეგონა და გამევიქეცი. რომ მუაწიე სახლის უკან და ესმაის კივილი მომეყურა-ძმაო, ძმაოო... და მე ქიშვარდი ვიფიქრე... მარა... ეჰ, რა ვიცოდი, ქე შამუარდი სახლში გადარეულსავით...

— ღმერთმა რომ კიდო მაჩვენა შენი თავი, ჩემო ნენავ, კიდო რომ გამხადა მაგის ღირსი, ჩემო მარგალიტო, ჩემო საკუთარათ გამოზდილო შვილო...—ამბობდა მხიარულად ბებერი და შესცქეროდა შვილს სიყვარულით გაშუქებულ უწამწამო თვალებით.

— ას ორმოცდა ექვსი მანათი და შვიდი შაურია წმინდა შემოსავალი. ოცდა თექვსმეტ კაცს უკან მუუთხოვნია და წუულია ფარა... არა, ნიკოლოზაი ფარღალავას ჯავრი მჭირს, სხვაის არაკაცის: იმან რავა წეიღო, იმ გაქუცულმა იმან!..—სთქვა ცოტა სიჩუმის შემდეგ ელპიტიმ.

ეფემიამ აიხედა ზევით, შეხედა რძალს და ისევ დახარა თავი ძირს.

**ნინო ნაკაშიძე.**




მოწაფეების დოღი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ისა